



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87212169

თარიღი:04/08/2021

განკარგულება №31

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე მუხლების 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 54-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საკადასტრო კოდი 50.07.34.312; 50.07.33.163;) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური შემდეგი სახით:
 - ა) სოფელ ომალოში მდებარე 1046კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-**120.0** (ასოცი) ლარის ოდენობით. (ს/კ 50.07.34.312)
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.
 - ბ) სოფელ ომალოში მდებარე 2450კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-**260.0** (ორას სამოცი) ლარის ოდენობით. (ს/კ 50.07.33.163)
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

